ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციიალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართილება

თამარ ზურაბაშვილი

თემა : ფემიციდის გამომწვევი მიზეზების, შედეგების და პრევენციის გზების შესწავლა.

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ამირან ბერძენიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

თბილისი, 2023 წელი

სარჩევი

ანოტაცია 3

შესავალი 4

საკითხის დასმა და თემის აქტუალობა 7

კვლევის მიზანი და ამოცანები.....8

ჰიპოთეზა 9

ოპერაციონალიზაცია 9

კვლევის მეთოდური ნაწილი 11

კვლევის პრაქტიკული მნიშნელობა 11

მონაცემთა ანალიზი 12

კვლევის შედეგების ინტეგრირება 12

დასკვნა 30

გამოყენებული ლიტერატურა 33

ანოტაცია

ფემიციდი (femicide) ქალთა ძალადობის გამოვლინების უკიდურესი ფორმაა, რაც ქალებისა და გოგონების მკვლელობაში გამოიხატება, ფემიციდის დიდი ნაწილი ქალების ყოფილი ან ამჟამინდელი პარტნიორების მხრიდან ხორციელდება, რაც ხანგრძლივი ძალადობის და ზეწოლის შედეგია, ფემიციდის სხვადასხვა კატეგორიის გამოყოფა შეიძლება მაგალითად: ,,ღირსების" მკვლელობა, რომელიც ოჯახის ,,ღირსების/სიწმიდის" დაცვის მიზნით ხორციელდება, ასევე ინტიმური ფემიციდი ანუ ინტიმური პარტნიორის მიერ ჩადენილი მკვლელობა, (Organization & Women., 2022) მზითვთან დაკავშირებული ფემიციდი და არაინტიმური ფემიციდი. ბოლო დროს ძალიან ხშირად გვესმის ფემიციდის შემთხვევების შესახებ, ან ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, ეს პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო მაგრამ დღესდღეობით ღიად დაიწყეს ამ საკითხის განხილვა, ამსთან დაკავშირებით აქტიურად მზადდება ინტერვიუები, სტატიები, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ქალის გაძლიერებისათვის, ვფიქრობ თითოეული მხარდამჭერი ქმედება ამ საკითხში იმედის მარცვალია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად, სწორედ ეს მაძლევს საფუძველს ჩავუღრმავდე ფემიციდის გამომწვევ მიზეზებს, და ვიკვლიო რა შედეგები მოაქვს ფემიციდს მსხვერპლთა ოჯახებისთვის და ზოგადად საზოგადოებისთვის, რადგან ცივილურ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველანაირი ძალადობა დაგმობილ უნდა იქნას კანონის ძალით.

ეჭვიანობა, ფიზიკური ან ეკონომიკური შეზღუდვა და სოციალური ჩაკეტილობა, ეს ის ფაქტორებია რაც ფემიციდს განაპირობებს, ყველაზე ხშირად ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზი ეჭვიანობაა, (myadvokat.ge, 2022) სწორედ ეჭვიანობის ნიადაგზე პარტნიორ მამაკაცს უყალიბდება არასრულფასოვნების შეგრძნება და ნელნელა საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს, რასაც ჯერ მუქარამდე, შემდეგ, ფიზიკურ ძალადობამდე და ბოლოს ფემიციდამდე მივყავართ. საზოგადოების როლი ამ პრობლემის აღმოფხვრაში უმნიშვნელოვანესია, რადგან საზოგადოებამ უნდა

მოახდინოს სწორი რეაგირება გარშემო მიმდინარე საკითხებზე, და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ,,ჩვენი საქმე არაა“ მაშინ როდესაც სხვისი უფლებები ჩვენს წინ ირღვევა.

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება საზოგადოების როლზე ფემიციდის სტატისტიკურ მაჩვენებელზე, გამოვიკვლევ საზოგადოების აზრს ფემიცდითან დაკავშირებით.

შესავალი

,,გენდერი“, ტერმინი აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ რომელბს, რომელიც მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით მიეწერებათ. (ბრანდერი, 2004). ჩვენს საზოგადოებაში სქესი დაბადებიდანვე განსაზღვრავს ინდივიდს როლს საზოგადოებაში, მამრობითი სქესის წარმომადგენელი მომავალში ოჯახის მარჩენალად ითვლება, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლის ძირითადი დანიშნულება რეპროდუქციაა, მაგრამ თანამედროვე საზოგადოება არ ერიდება ,,დევიაციას“ და არსებულ სტანდარტებს არღვევს, რაც პირველ რიგში იმაში გამოიხატება, რომ ქალებმა საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების ინვესტირება დაიწყეს და პირადი ეკონომიკური შემოსავლით მამაკაცებს გაუთანაბრდნენ, ეკონომიკური სიძლიერე ქალებს საშუალებს აძლევთ პირადი ინტერესები თუ საჭიროებები დაიკმაყოფილონ და საზოგადოებასა თუ ოჯახში ღირსეული ადგილი დაიჭირონ, სტერეოტიპულ საზოგადოებაში მასკულინურად არ ითვლება დიასახლისობა და თუ ეს შედეგი დადგა და ოჯახზე ზრუნვა ქალის მაგივრად კაცმა დაიწყო მაშინ საქმე დევიაცას ეხება, სწორედ ამგვარი მოსაზრებები იწვევს გენდერულ დისბალანსს და უფლება-მოვალეობების არასწორად გადანაწილებას. საშიანო საქმე აუნაზღაურებელი და გაუფასურებულია, ამიტომ დიასახლისები რჩებიან ჩრდილში, რადგან მათ არ გააჩნიათ პირადი ფინანსური შემოსავალი, ხოლო მამაკაცებისთვის გზა მრავალმხრივ ხსნილია, რადგან მათ არ

უწევთ ოჯახზე ფიზიკურად ზრუნვა და მათ აქვთ მეტი დრო და შესაძლებლობა განვითარდნენ, როგორც პიროვნულად, ისე კარიერულად და ფინანსურად, როგორც არ უნდა მივუდგეთ საკითს ეკონომიკური შესაძლებლობა ბევრ რამეს წონის, მაგალითად ოჯახში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს ის ვინც ფინანსურად ძლიერია, მამაკაცი ოჯახის სათავეში იერარქიულად ყველაზე მაღლა სწორედ ამ მიზეზის გამო დგას ყველაზე ხშირ შემთხვევაში, ძალაუფლება კი ბადებს მოტივს იბატონო გარშემომყოფებზე, სამწუხაროდ სწორედ ეს მდგომარეობა აყალიბებს არასწორ შეხედულებებს და კაცებს აძლევთ შესაძლებლობას რომ ქალზე არამხოლოდ ფსიქოლოგიურად, ეკონომიკურად არამდე ფიზიკურადაც იძალადონ.

კვლევის ფარგლებში აქცენტი ოჯახში ქალისა და კაცის როლზე გაკეთდება, რადგან ოჯახის სტრუქტურა და მოვალეობების არასწორად გადანაწილება იწვევს ქალთა უფლებათა დარღვევას, რაც შემდეგ ძალადობის საფუძველი ხდება.

ოჯახის იერარქიულობა ქალებში უფროდაუფრო მეტად იწვევდა უსამართლობის განცდას ამიტომ ქალებმა დაიწყეს საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა ამავე მიზნით ფემინიზმის პირველი ტალღის განვითარებას ჩაეყარა საფუძველი, რაც ხმის მიცემის უფლებას გულისხმობდა, ეს ნაბიჯი ყველაზე რევოლუციური იმ კუთხით იყო, რომ ქალი საჯაროდ აღიარეს როგორც სრულუფლებიანი წევრი საზოგადოების. (სორენსენი, 2006) 2010 წლის 26 მარტს მიღებულ იქნა კანონი ქალისა და ამამაკაცის თანასწორობის შესახებ, საქართველოს კონსტიტუციით ეს კანონით განისაზღვრავს ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებისისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს (საქართველოს პარლამენტი , 2010), მაგრამ ეს კანონპროექტი საკმარისი არ აღმოჩნდა ქალთა მიმართ ძალადობის შესამცირებლად ამასგარდა 2006 წელს მიღებული საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებეს განსაზღვრავს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობისათვის ან/და ოჯახში

ძალადობისათვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს (საქართველოს პარლამენტი, 2006), დოკუმენტურად ქალთა უფლებები დაცულია, ამას უზრუნველყოფს საქართველოდ კანონი მაგრამ, გარდა სახელმწიფო ორგანოებისა არსებობს ქალთა უფლებათა დაცვის არასამტავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრევენციულ ღონისძიებებს ძალადობის შესამცირებლად, ასევე იცავენ დაზარალებულ ქალებს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლი გახდნენ და პოტენციურად ფემიციდის საშიშროების წინაშე დგანან. 2017 წელს ჩატარდა ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, გამოკითხულ იქნა 15-64 წლამდე ქალბატონები, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ყოველი 7 ქალიდან 1 ქალი მაინც გამხდარა ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი მისი პარტნიორისგან და 29 ქალიდან 1 ქალი მხოლოდ ბოლო წელს იყო სექსუალური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. საქართველოში ქალთა 26,2 % განცდილი აქვს სექსუალური ძალადობა არა-პარტნიორისგან (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური , 2019)

სტატისტიკური მაჩვენებელი სახარბიელო ნამდვილად არ არის, მნიშვნელოვანი პრევენციული ნაბიჯი ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა, მაგრამ მთავარი ამ მხრივ ისევ და ისევ ფართომაშტაბური ორგანიზაციების მხარდაჭერაა.

2014 წლიდან დღემდე ფემიციდის რიცხვი მნიშვნელოვნად მერყეობს 2014 წელს 33 ქალია მოკლული; 2016წელს -28 ქალი; 2018 წელს- 18 ქალი; 2020 წელს-22 ქალი; 2022 წლის 8თვე- 13 ქალი, (საქართველოს პროკურატურა , 2022)

საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, საფარი ერთერთი ორგანიზაციაა, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის და ფემიციდის პრევენციის მიზნით სხვადასხვა ქმედით ნაბიჯებს დგავს, ერთერთი კვლევა, რომელიც ეხება ფემიციდს, როგორც დისკრიმინაციული დანაშაულს და მასთან ბრძოლის

სახელმწიფო ვალდებულებას, სოწრედ ქალთა უსაფრთხოების მიზნით და ფემიციდისა და სახელმწიფოს როლის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა სახელმწიფორ როლიც, ფემიციდის რისკების შესამცირებლად, რომ საჭიროა შესაბამისი დანაყოფის შემქნა ხელისუფლებაში, რომელიც სპეციალურად ამგვარ საკითხებზე იმუშავებს. (საფარი , 2016)

ფემიციდის აღმოსაფხვრელად მთავარია საზოგადოებას ჰქონდეს მიმღებლობა, რომ ქალები საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან.

საკითხის დასმა და თემის აქტუალობა

ფემიციდის სტატისტიკური მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ფემიციდის რიცხვი შემცირებულია, მაგრამ ეს სიმშვიდის საფუძველი არ არის, არც თუ ისე დიდი ხნის წინ არაერთი ქალის მკვლელობის საქმე გაშუქდა, ზოგიერთი მკვლელობა კი მამის მიერ საკუთარი მცირეწლოვანი შვილების თვალწინ განხორციელდა, 2022 წლის 21 მაისს კაცმა საკუთარს ცოლს სამი მცირეწლოვანი შვილის თვალწინ ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, შემთხვევა თბილისში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოხდა. (მაუწყებლობა, 2022), ძალადობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია მომავალ თაობას შევუქმნათ ნეგატიური დამოკიდებულება ყველანაირი ძალადობის მიმართ და ვასწავლოთ საკითხის ცივილურად გადაჭრის გზები.

ვფიქრობ, დამაფიქრებელი იქნება კვლევაში გაკეთებული აქცენტები და ძირითადი მიგნებები, რადგან საკითხი აქტუალობას არ კარგავს ბოლო დროს განვითარებულ მდგომარეობას თუ გადავხედავთ დავინახავთ, რომ ფემიციდის შემთხვევები არც თუ ისე იშვიათია, ისევ ხდებიან ქალები ძალადობის მსხვერლი და საზოგადოება ისევ

ელოდება ქალების მხრიდან მოთმინებას, ყველანაირი ჩაგვრის ატანას. ფემიციდის პრევენციისთვის მუშაობა რამდენიმე ათ წლეულია რაც დაიწყო, ამიტომ ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო შემთხვევების მინიმუმამდე დასაყვანად, სწორედ ამიტომ მინდა ჩემი კვლევის საშუალებით ყველა ქალს დავანახო როგორ დავიწყეთ უფლებებისთვის ბრძოლა და სადამდე მოვედით, ასევე გამოვკვეთო ყველა ის პრობლემა, რაც დღესდღეობით დგას ქალთა უფლებების კუთხით და სულ ცოტა გამბედაობას თუ მაინც მივცემ ჩემი შედეგებით ჩავთვლი, რომ მიზანი მიღწეულია.

მიზანი

ჩემი ნაშრომის მიზანია ვიკვლიო რა წარმოდგენა აქვს საზოგადოებას ფემიციდთან დაკავშირებით, ასევე გამოვიკვლიო მათი დამოკიდებულება ფემიციდის პრევენციის კუთხით.

დასახული მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი ამოცანები

- საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა ფემიციდის სტატისტიკურ მაჩვენებელზე
- ფემიციდის უარყოფითი მხარეების შესწავლა
- ფემიციდის გამომწვევი მიზეზების შესწავლა
- ფემიციდის გავლენის შესწავლა სხვა ქალთა ფსიქოსოციალურ მდგომარეობაზე
- ფემიციდის შემთხვევათა გავლენის შესწავლა ხალემწიფო დონეზე

საკვლევი ამოცანების შესაბამისად შემუშავებულია შემდეგი ჰიპოთეზა

- ყველა ადამიანისთვის ფემიციდის თითოეული შემთხვევა შემაძრწუნებელი და არასასურველია
- ფემიციდის ყველა შემთხვევა ქვეყნის დემოკრატიის ხარისხზე უარყოფითად აისახება

ოპერაციონალიზაცია

გენდერი-სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრებისყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე. (საქართველოს პარლამენტი, 2010)

ფემიციდი- ქალებზე ძალადობის უკიდურესი გამოვლინება, ეს ტერმინი ლათინურად აღნიშნავს ქალების და გოგონების მკვლელობას. (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი , 2016)

დისკრიმინაცია- ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, რომელიმე ნიშნის გამო, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ცნობის, გამოყენების ან განხორიცელების მოსპობას ან შელახვას. (საქარრთველოს პარლამენტი , 2014)

<u>ინდიკატორი</u>: მისი გამოხატულებაა ძალადობობა ქალის მიმართ, რომელიც ,,სუსტი სქესის“ გამო ხორციელდება.

თანასწორობა- თანასწორობა გულისხმობს პრონციპს, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქეს თანაბარი ღირებულება და პოლიტიკური უფლება აქვს.

გამოვყოთ სამი ძირითადი პერსპექტივა:

(1) თანასწორობის პერქსპექტივა გულისხმობს კანონმდებლობის იმ ასპექტების იდენტიფიცირებას, რომლებიც სხვადასხვა მდგომარეობაში აყენებს ქალსა და კაცს და სამართლებრივი რეფორმის შედეგად ამ განსხვავების აღმოფხვრას.

(2) განსხვავების პრესპექტივის თანახმად, აუცილებელია ქალების განსხვავებული თავისებურებების აღიარება და მათთვის პოზიტიური ღირებულებების მინიჭება.

(3) მრავალფეროვნების პერსპექტივა გულისხმობს თანასწორობისა და განსხვავების დიქოტომიის მიღმა გასვლას. ამ მიდგომის მიხედვით, თანასწორობის პერსპექტივა უგულვებელჰყოფს თანასწორობის შეფასების კრიტერიუმების პატრიარქალურ ხასიათს. (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი , 2016)

პატრიარქალური საზოგადოება - სოციალური ორგანიზაციის ფორმა, რომლის მეშვეობით მამაკაცები მოიპოვებენ და ხელს უწყობენ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ბატონობას ქალებსა და უფრო ახალგაზრდა მამაკაცებზე. (patriarqati matriarqati, 2012)

<u>ინდიკატორი</u>**:** მისი გამოხატულებაა მამაკაცის, როგორც ოჯახის უფროსის კულტი და მისთვის მინიჭებული უპირატესობები.

კულტურა - ადამიანთა ჯგუფის ცხოვრების სტილი, რომელიც ერთი თაობიდან მეორეში კომუნიკაციის მეშვეობით გადადის (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი , 2010)

ინდიკატორი: მისი გამოხატულებაა მომავალი თაობა, რომლებსაც მათი ოჯახისგან გადაეცემათ ის კულტურული ღირებულებები, რაც მათ მოქმედებებს და მსოფლმხედველობას განსაზღვრავს.

კვლევის მეთოდური ნაწილი

ფემიციდის საკითხი საკმაოდ სენსიტიურია და ამ ტემაზე საზოგადოების დიდ ნაწილს უჭირს ღიად და გულწრფელად საუბარი, ამიტომ კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე გადავწყვიტე რესპონდენტთა კონფიდენციალობა და ანონიმურობა დაცული იყოს, კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება გამოკითხვის შერეული კვლევის მეთოდი ანუ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ერთდროულად იქნება გამოყენებული, რაც შესაძლებლობას მომცემს მივიღო სრულყოფილი ინფორმაცია რესპონდენტებისგან აღნიშნული კვლევის შესახებ, კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნება დაახლოებით 200 ადამიანი.

მიღებული შედეგები დაგვეხმარება გავიგოთ ასაკობრივი კატეგორიის და სქესის მიხედვით რა დამოკიდებულება და გამოცდილება აქვთ ადამიანებს ფემიცდთან დაკავშირებით.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

აღნიშნული კვლევა ფემიციდის შესახებ ჩამოაყალიბებს ახალ მოსაზრებებს და ამ საკითხის გარშემო ჩამოყალიბებულ აზრს კიდევ უფრო გაამდიდრებს, ასევე მიღებული შედეგები მნიშვნელოვანი იქნება იმის გასაანალიზებლად თუ რატომ ხდებიან ქალები ფემიციდის მსხვერპლი და რა პრევენციული საშუალებები არსებობს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

მონაცემთა ანალიზი

ჩატარებული კვლევისას მიღებული შედეგები შეჯამდება, მოხდება მოანცემების კოდირება და კოდირების საფუძველზე გამოიყოფა სხვადასხვა კითხვის მიხედვით კატეგორიები, კვლევის შერეული მეთოდი საშუალებას მოგვცემს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ერთდროულად ერთ კვლევით პროექტში გამოყენების, ასევე ტრიანგულაციისა და საკვლევი პრობლემის პრაქტიკულ მიდგომებზე ფოკუსირების. (შატბერაშვილი)

კვლევის შედეგების ინტეგრირება

1. ფემიციდის აღქმა

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობა მიჩნევს, რომ ფემიციდი ქალთა მკვლევობას ნიშნავს, რომელიც ხორციელედება ძალადობრივი ნიშნით.

ნებისმიერი სახის ძალადობა ქალზე, რომელიც ძირითადად ფატალური შედეგით მთავრდება. (მდედრობითი სქესის; 18-25 წლამდე კატეგორიის; არაფორმალურ ურთიერთობაში მყოფი.)

ქალთა მკვლელობა,მეუღლის,ყოფილი მეუღლის, მეგობარი მამაკაცს თუ ყოფილი მეგობარი მამაკაცის მიერ. (მდედრობითი სქესის; ასაკობრივი კატეგორიით 26-31წლამდე; არაფორმალურ ურთიერთობაში მყოფი.)

ფემიციდი, როგორც ქალების მკვლელობა აღიქმევა კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 58%-ის მიერ.

აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე, რესპონდენტთა უმრავლესობა ფემიციდს მიიჩნევს, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი გამოვლენის ფორმა.

„ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმა" (მდედრობით სქესის; 18-25 წლამდე კატეგორიის; დასაოჯახებელი.) - ამ აზრს კვლევაში მონაწილე 200 რესპონდენტიდან 42 რესპონდენტი იზიარებს, მათი აზრით ფემიცის შემთხვევები ქალთა მიმართ ძალადობით გამოიკვეთება.

კვლევაში მონაწილე 21%-სთვის ფემიციდის, როგორც ტერმინის განმარტება, ცნობილი არ იყო ან თავს იკავებდნენ განარტებისგან, ზოგიერთი მათგანი წერს, რომ არ აქვს ინფორმაცია.

ფემიციდის რისკს სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, კვლევის ფარგლებში გამოიკითხა აზრი იმის შესახებ, თუ რა იწვევს ფემიციდის რისკის გაზრდას საქართველოში. გამოკითხულთა 35,8% თვლის რომ ფემიციდის რისკის გაზრდას ყველაზე მეტად საზოგადოების მხრიდან ძალადობის შემთხვევების უგულვებელყოფა და მსხვერპლის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება იწვევს.

28,9% თვლის, რომ თავად მსხვერპლი ქალების მხრიდან საკითხის არასერიოზულად აღქმა და რეაგირების გარეშე მსხვერპლის პატიება ზრდის ფემიციდის რისკს, რადგან მოძალადისთვის არანაირ შემაკავებელ ბერკეტს არ ქმნის თავად ძალადობის მსხვერპლი, რამაც შეიძლება ბევრად სერიოზული პრობლემა გამოიწვიოს.

საზოგადოების 19,3% ფემიციდის რისკის გაზრდის ხელისშემწყობ მთავარ ფაქტორად ასახელებს კანონის შესაბამისისიმკაცრით არარსებობას, მათი აზრით ძალადობის მსხვერპლი ქალების ნაწილს ნდობა არ აქვთ კანონის მიმართ, რადგან სწამთ, რომ კანონი მათ მოძალადისგან სრულყოფილად ვერ დაიცავთ.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 16% თვლის, რომ ფემიციდის რისკს დაბალი ცნობიერება ზრდის ფემიციდის შედეგბთან დაკავშირებით.

2. ფემიციდის რისკის ქვეშ მყოფი ქალების შესახებ

ფემიციდის რისკის ქვეშ პოტენციურად შესაძლოა ნებისმიერი ქალი მოვიაზროთ, რადგან ფემიციდის შემთხვევები განპირობებულია ქალთა მიმართ ძალადობით, ვერცერთი ქალი 100%-ით ვერ იქნება დაცული ძალადობისგან, ამასთან დაკავშირებით ერთერთი რესპონდენტი წერს:

,,ფსიქოლოგიურად ყველა ქალს აქვს შიში რომ არ გახდეს პოტენციური მსხვერპლი და შესაბამისად ხშირად უწევს ძალადობრივ პირობებში და მოძალადე პარტნიორთან თანაცხოვრება“ (მდედრობითი სქესის; 40-47 წლამდე ასაკის კატეგორიის; დაოჯახებული.)

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 40,7% მიიჩნევს, რომ ფემიციდის რისკის ქვეშ ყველაზე მეტად განქორწინებული ქალები არიან, რადგან ისინი არასასურველი პარტნიორგან თავის დაღწევას ცდილობენ და ახლა დამოუკიდებელ ქალად ცხოვრობენ, ერთერთი რესპონდენტი წერს:

,, მე თვითონ ვიყავი ძალადობის მსხვერპლი, ჯერ კიდევ 18 წლის ასაკში ვიყავი როცა ურთიერთობა გვქონდა შემდეგ მაშანტაჟებდა და ამ შანტაჟით ცოლად მომიყვანა, მუდმივად მქონდა თავის მოკვლის მცდელობა ამდენი ცემის შწმდეგ სამწუხაროდ უშედეგოდ სრულდებოდა ახლა წამოვედი მაგრამ არვიცი რას მოიმოქმედებს✓ ნაბიჭვარი '' (მდედრობისთი სქესის; 18-25 წლამდე კატეგორიის; განქორწინებული).

არამხოლოდ განქორწინებული ქალები, არამედ დაოჯახებული ქალებიც ფემიციდის რისკის ქვეშ ცხოვრობენ, ამ მოსაზრებას კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 39,7% იზიარებს, სწორედ დაოჯახებულ ქალებს უწევთ ხშირად მოძალადესთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, და ისინი იმ შიშის გამო, რომ თუ ხმას

ამოიღებენ ან მიატოვებენ მოძალადეს, მას ან მის შვილებს მოკლვლით ემუქრება. ამ მოსაზრებას კვლევაში მონაწილე 42,8% იზიარებს.

,,ქალებს უჩნდებათ შიში თუნდაც არასასურველ პარტნიორთან შეკამათების ან დაშორების, შიშის გამო ქალები ოჯახში ძალადობას იტანენ და ვერაფერს აკეთებენ'' (მდედრობითი სქესის; 18-25წლამდე კატეგორიის; დასაოჯახებელი).

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთს 12,4% ფიქრობს, რომ ფემიციდის რისკის ქვეშ ყველაზე მეტად არაოფიციალურ ურთიერთობაში მყოფი ქალები არიან, ხოლო 7,2% მიიჩნევს რომ მარტოხელა ქალებიც შესაძლოა ფემიციდის რისკის ქვეშ ყველაზე მეტად აღმოჩნდნენ.

კვლევის ამ ნაწილს მივუსადაგებ ფემიციდი და სახელმწიფოს ვალდებულებები – კვლევა ქალთა ძალადობაზე, რომელიც საფარის, ღია საზოგადოებისა და ქალთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელდა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ ფემიციდის შემთხვევების 40%-ზე მეტი ყოფილი პარტნიორის მიერ ხორციელდება, ეს ის შემთხვევაა, როდესაც განქორწინებული ქალი მოძალადე ქმრის საკუთრებად აღარ მოიაზრება და მისი ყოფილი პარტნიორი განიცდის შიშს, რომ ,,თავის საკუთრებას" კარგავს.

ფემიციდის მსხვერპლი ქალების 70% სიკვდილამდე იყო ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, მათ შემთხვევაში ფემიციდის რისკი ოჯახში ყოფნის დროს განისაზღვრებოდა, როგორც რისკის მაღალი დონე.

მამაკაცებს აქვთ პატრიარქალური ღირებულებები შემორჩენილი, მკაცრი სტერეოტუპული შეხედულებები მასკულინობაზე განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მათ ქალთან ნებისმიერი სახის მოპყრობის უფლება აქვთ, რადგან იერარქიულ მწვერვალს მამაკაცები იმყრობენ, ხოლო ქალები მათ მორჩილებათ მოიაზრებიან.

სოწრედ აღნიშნულ კვლევაში მიღებული დასკვნების საფუძველზე შემიძლია პარალელი გავავლო კვლევის ამ ნაწილთან- ფემიციდის რისკის ქვეშ მყოფი

ქალების შესახებ. ძრითადად ფემიციდის მსხვერპლის როლში დაოჯახებული ან განქორწინებული ქალები არიან, თუმცა ეს ფაქტი ფემიციდის რისკს წარმოქმნის ყველა ქალისთვის.

3. ფემიციდი, როგორც შემზღუდავი ბერკეტი ქალების მიმართ

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 85,5% თვლის, რომ ფემიციდი თავად არის საშიშროება ყველა ქალის მიმართ და ფემიციდი წარმოადგენს შემზღუდავ ფაქტორს ქალების ცხოვრებაში.

,, ადამიანი ყოველთვის შეზღუდული იქნება, თუ მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას რისკი ემუქრება'' (მდედრობითი სქესის; 32-39 წლამდე ასაკის კატეგორიის; დაოჯახებული)

,, უსაფრთხოების მიზნით შესაძლოა ქალმა შეიზღუდოს ისეთი ქცევა, რაც სხვა შემთხვევაში პრობლემა არ იქნებოდა'' (მდედრობითი სქესის; 18-25 წლამდე ასაკის კატეგორიის; დასაოჯახებელი)

,, რადგან ქალებს გულის სიღრმეშიაქვთ განცდა რომ თურამეს არასწორად გააკეთებენ მათ საზოგადოება განიკითხავს, განსაკუთრებით კი მამაკაცების მხრიდან გამოვლენილი ძალადობის ეშინიათ'' (მდედრობითი სქესის; 18-25 წლამდე ასაკის კატეგორიის; დაოჯახებელი)

,, ასე თუ ისეე სადღაც ქალების კატეგორია მაინც ფიქრობს, რომ არ გამოიწვიოს რაიმე ტიპის აგრესია საპირისპირო სქესის მიმართ, იქნება ეს ჩაცმით თუ სხვა გაოხატული'' (მდედრობითი სქესის; 18-25 წლამდე ასაკის კატეგორიის; დასაოჯახებელი)

ფემიციდის რისკის გათვალისწინებით ქალებს აქვთ შიშის მუდმივი განცდა, სწორედ ამ აზრს ემხრობა კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 14,5% თვლის, რომ ფემიციდი სულაც არ ქმნის ყველა ქალის მიმართ შემზღუდავ გარემოებას, რადგან ფემიციდი ყველა ქალს არ შეზღუდავს თუ პარტნიორს სწორად აირჩევენ და ნაკლებად იქნებიან დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე, კვლევაში მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ფემიციდის შესაძლებლობამ ქალები არ უნდა დათრგუნოს.

,,საფრთხე ყოველთვის იარსებებს ძალადობის, მაგრამ ეს ქალების მიმართ დაბრკოლებას არცერთ გარემოებაში არ უნდა ქმნიდეს" (მამრობითი სქესის წარმომადგენელი; 18-25 წლამდე ასაკის; არაფორმალურ ურთიერთობაში მყოფი.

კვლევის ამ ნაწილს მივუსადაგებ ფემიციდი და სახელმწიფოს ვალდებულებები – კვლევა ქალთა ძალადობაზე, რომელიც საფარის, ღია საზოგადოებისა და ქალთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელდა.

კვლევის შესავალი ნაწილი ისევე როგორც ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შესავალი ნაწილი ეთმობა თემას, რომ ქალები, რომლებიც განიცდიან ძალადობას მუდმივად სიკვდილის შიშის ქვეშ ცხოვრობენ. (კავშირი ,,საფარი", 2016), კვლევაში წარმოდგენილია მიზეზები თურატომ შეიძლება ქალებს ფემიციდის რისკი აბრკოლებთ.

საქართველოში საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობა გამართლებული ქმედებაა და ამაში საგანგაშო არაფერია, სახალხო დამცველის 2015 წლის მოხსენებით ქალთა მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის ფაქტზე 26 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, აქედან 14 შემთხვევა

გამოწვეული იყო ოჯახური ძალადობის ფაქტზე (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში , 2015)ეს მონაცემები მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის ნამდვილად ყურადსაღებია.

ქალებს დაუცველობის გრძნობას უმძაფრებს ის ფაქტიც, რომ მსხვერპლის მხრიდან სამართალდამცავ ორგანოებამდე ძალადობის ფაქტების შესახებ მოხსენება ჰქონდა გაკეთებული, თუმცა შედეგი მაინც ფატალურად დასრულდა. ის ფაქტი, რომ მოძალადის ხელში დაუცველი ხარ და კანონი შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის დახმარება, ყველა ქალისთვის შიშის საფუძველს ქმნის, რომ მსგავსი შემთხვევის დროს შესაძლოა ისიც ვერ დაიცვან, ამიტომ მსხვერპლის შანტაჟს, რომ არ გაახმაუროს ძალადობის შემთხვევები ისინი მარტივად ნებდებიან.

გარდა კანონისა შიშის საფუძველს ფემიციდის რისკის შესახებ საზოგადოების უმოქმედობაც იწვევს ძალადობის შემთხვევების დროს, საზოგადოება გულგრილია მათ გარშემო მიმდინარე მოვლენებისადმი, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება ოჯახურ ძალადობას, ისინი ამჯობინებენ განერიდონ სიტუაციას დახმარების ნაცვლად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ზრდის ფემიციდის რისკს და ქალებს დაუცველობის განცდას უქმნის, რაც შემზღუდავ ბერკეტად თავისთავად გადიქცევა, ქალების ცხოვრებაში.

4. ქალთა მიმართ ძალადობა, როგორც ფემიციდის რისკი

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა დიდი ნაწილი ფემიციდს განმარტავს, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმა, რაც მოწმობს იმაზე, რომ საზოგადოების ცნობიერება ფემიციდის შემთხვევებთან ძალადობის ფაქტებს აკავშირებს, ,,ფემიციდი ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის უკიდურესი ფორმაა“ (მდედრობითი სქესის; 26-31 წლამდე ასაკის კატეგორიის; დაოჯახებული) იგივე აზრს ითხვალისწინებს 200 რესპონდენტიდან 76 რესპონდენტი.

სამწუხაროდ ძალადობის შემთხვევებზე სწორი რეაგირება საზოგადოების მხირდან არც თუ ისე ხშირია, საზოგადოების დიდი ნაწილი უბრალოდ ერიდება სიტუაციას და ცდილობს კონფლიქტურ ტერიტორიას განერიდოს, ძალადობის შემთხვევების შემსწრე რესპონდენტების 22,2% ამბობს, რომ ვერაფერი ან არაფერი მოიმოქმედა ძალადობის შემთხვევების დროს, ეს ფაქტი იმაზე მეტად საყურადღებოა ვიდრე წარმოგვიდგენია,

,, ძალადობის შემთხვევების დაიგნორებით ჩვენ მოძალადეს სტიმულს ვაძლევთ განმეორებითი ძალადობის, და მსხვერპლს კიდევ უფრო ვაშინებთ უმოქმედობით", (მამრობითი სქესის; 26-31 წლამდე; დაოჯახებული)

ქალთა მიმართ ძალადობის ყოველი შემთხვევა პოტენციურ ფემიციდს მსხვერპლად აქცევს დაზარალებულს.

კვლევის ამ ნაწილს მივუსადაგებ კავ შირი ,,საფარის'' მიერ 2016 წელს ჩატარებულ კვლევას, ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულების კვლევის ნაწილში, ფცემიციდი, როგორც გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, მითითებული შედეგები, რომ ქალთა მიმართ სისტემატიუ ფსიქოლოგიურ, სექსუალურ თუ ფიზიკურ ძალადობას მივყავართ ფატალურ შედეგებამდე, ამის დასტურად შეგვიძლია სტატისტიკური მაგალითი მოვიყვანოთ, რომ ფემიციდის მსხვერპლი ქალების 70% სიკვდილამდე იყო დაქვემდებარებული მათი მკვლელი პარტნიორების მიერ ფიზიკურ ძალადობას.

ძალადობის შემთხვევების დათმობა სხვერპლის მიერ, ან გარშემომყოფი ადამიანების მიერ რისკის ქვეშ აყენებს თავად მსხვერლს, რისკი იმდენად დიდი შეიძლება იყოს, რომ ფემიციდიც გამოიწვიოს.

5. ძალადობის შემსწრე საზოგადოება

კვლევის ფარგლებში გაჟღერდა კითხვა რესპონდენტების მიმართ,თუ ყოფილან შემსწრე ქალთა მიმართ ძალადობის, აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 48,2% შესწრებია ქალთა მიმართ ძალადობას. ქალთა მიმართ ძალადობის შემსწრე რესპონდენტაგან 4,8% - სექსუალური ძალადობის შემსწრე ყოფილა; 48,7% - ფიზიკური ძალადობის შემსწრე, ხოლო 46,5%- ფსიქოლოგიური ძალადობის შემსწრე აღმოჩნდა.

საყურადღებოა შემთხვევების რაოდენობაც, აღმოჩნდა, რომ ძალადობის შემსწრე რესპონდეტების შემთხვევაში ძალადობის მხოლოდ 1 ფაქტი არ ყოფილა, არამედ 32%-ის შემთხვევაში ეს სისტემატიურად ხდებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალადობა მათ საახლობლო წრეში ხორციელდებოდა.

ფიზიკურ თუ სექსუალურ ძალადობას თან სდევს ყოველთვის ფსიქოლოგიური ძალადობაც, ძირითადად როდესაც ფიზიკური ზიანი ადგება ადამიანს იმ მომენტისათვის მხოლოდ ფიზიკურ ძალადობას მივიჩნევთ ძალადობის ერთადერთ ფორმას, მაგრამ ფსიქოლოგიურად ეს ფაქტი არანაკლებ დამთრგუნველი და სავალალოა მსხვერპლისთვის, ასევე შემსწრე საზოგადოების დიდი ნაწილისთვის.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ნაწილი შემსწრე ყოფილა ძალადობის სხვადასხვა გამოვლენის შემთხვევების.

„სექსუალური ძალადობის მცდელობის ერთხელ; ფსიქოლოგიურის მრავალჯერ"(მდედრობითი სქესის 26-31 წლამდე ასაკის კატეგორიის; არაფორმალურ ურთიერთობაში მყოფი)

„სამწუხაროდ ბევრჯერ, დრო გადის და ხვდები რომ ბავშვობაში რაც დაინახე გაიგონე იყო ძალადობა… ყოველდღირობაც სავსეა მცირე-მცირე ამბებით რომლებიც ავიწროებენ ქალებს"(მდედრობითი სქესის; 32-39 ასაკის კატეგორიის; დაოჯახებული)

ძალადობის შემსწრე საზოგადოებიდან 32,2% ამბობს, რომ ძალადობის მომენტში მათ არაფერი მოუმოქმედებიათ ამის მიზეზი კი 6%ის შემთხვევაში იყო ის რომ შეეშინდათ რადგან პატარა იყო როდესაც ეს ფაქტი მოხდა.

,,ძალიან პატარა ვიყავი და ვერაფერი მოვიმოქმედე" (მამრობითი სქესის; 18-25წლამდე; დასაოჯახებელი)

თუმცა სხვა შემაკავებელი გარემოებაც შეინიშნებოდა, რის გამოც ძალადობის შემსწრე ადამიანები უბრალოდ პასიურ როლში რჩებიან და უმოქმედობას ირჩევენ.

,,ყოველთვის არაა ადვილი ხედავდე მოძალადეს მოიკრიბო ძალა და ჩაერიო (სულ მაქვს ფიქრი რომ რამდენიმე წუთში მე თავად გავხდები ძალადობის მსხვერპლი)" (მდედრობითი სქესის; 26-31 წლამდე; დასაოჯახებელი)

,,უმეტესად თავად ქალისთვის შემითავაზებია დახმარება მათშორის პატრულის გამოძახება მაგრამ ასევე უმეტრსად თავად მსხვერპლები ყოფილან აგრესიული პასუხის ინიცუატორი რომ არ უნდა ჩავერიო და ა.შ" (მდედრობითი სქესის; 32-39 წლამდე; დაოჯახებელი)

ძირითადი მიზეზი რის გამოც ადამიანები არ ერევიან კონფლიქტურ სიტუაციაში არის ის, რომ თვლიათ ,,მათი საქმე არაა" და რაც ხდება მათ არ ეხებათ.

კვლევის ფარგლებში ძალადობის შემსწრე ადამიანების უმეტესობა, ვინც ცდილობს დაიცვას დაზარალებული მოძალადისგან საკუთარ ძალებს იყენებს ცდილობს სიტყვიერად ან ფიზიკური ძალით გაუმკლავდეს სიტუაციას, ასეთი პასუხი რესპონდენტთა 48,8%-ს ეკუთვნის.

,,მსხვერპლს გადავწეი არული ინფორმაცია, როგორ დაეღწია თავი სიტუაციიდან" (მდედრობითი სქესის; 32-39 წლამდე ასაკის კატეგორიის; განქორწინებული)

,,ჩემთან წავიყვანე მსხვერპლი, ვცდილობდი დამერწმუნებინა რომ არ წასულიყო მოძალადესთან მაგრამ...ამაოდ'' (მდედრობითი სქესის; 32-39 წლამმდე ასაკის კატეგორიის; დაოჯახებული)

,,ფსიქოლოგთან სიარული ვაიძულე მსხვეპლს. გაძლიერდა და გაშორდა " (მდედრობითი სქესის; 18-25 წლამმდე ასაკის კატეგორიის; დასაოჯახებული)

,,ფიზიკურად და სიტყვიერად გავუსწორდი'' (მამრობითი სქესის; 32-39 წლამმდე ასაკის კატეგორიის; დაოჯახებული)

,,ვცემე '' (მამრობითი სქესის; 32-39 წლამმდე ასაკის კატეგორიის; დასაოჯახებული)

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები, ვინც შემსწრე ყოფილა ქალთა მიმართ ძალადობის მხოლოდ 19% ამბობს, რომ გამოიძახა პოლიცია და საქმე სამართალდამცავ ორგანოებს გადასცა გამოსაძიებლად, ეს შემთხვევები განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდობლობას უცხადებს პოლიციას მსგავს საკითხებთან დაკავშირებით.

,,ფიზიკურად გავუსწორდი მოძალადეს, რადგან პოლიციაში,რომ დამერეკა შემაკავებელ ორდენს გამოუწერდნენ, რა აზრი აქვს ჯობდა მე შემეშინებინა" (მამარობითი სქესის; 26-31წლამდე; დაოჯახებული)

კვლევის ამ ნაწილს მივუსადაგებ კავშირი ,,საფარის'' მიერ 2016 წელს ჩატარებულ კვლევას, ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულების კვლევის სოციუმთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორების ნაწილს, რადგან ამ ნაწილში განხილურია ძალადობის შემთხვევების დროს გარეშომომყოფთა საზოგადოების მხარდაჭერის ნაკლებობის საკითხი, კვლევამ გამოყო ის ფაქტიც, რომ ძალადობის დროს გაჟღერებული მუქარა მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის შესახებ არასერიოზულად მიაჩნიათ ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს თუ მეზობლებს, ისინი თავს არიდებენ პასუხისმგებლობის

აღებას და ცდილობენ საქმეში არ ჩაერიონ, იმ გამართლებით, რომ ეს მათი პირადი საქმეა.

ასევე შესავლის ნაწილში მოცემულია კვლევის შედეგებზე დაყრნობით მოპოვებული ინფორმაცია, რომ ხშირად, ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასაცავად არ ხდებოდა იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული და შესაბამისად, მათი თხოვნა დახმარების თაობაზე სამართალდამცავების მხრიდან უგულებელყოფილი რჩებოდა. (კავშირი საფარი , 2016)

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ საქართველოში პოზიტიურად შეცვლილი რეალობა კანონმდებლობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფო ორგანოები აქტიურად არიან ჩართული ფემიციდის შემთხვევათა შესამცირებელ სამუშაოებში, რაც კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ნაწილისთვის კარგად ცნობილია.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები, რომლებიც შემსწრენი იყვნენ ქალთა მიმართ ძალადობის აღნიშნავენ, რომ მათ მიერ გაწეულ დახმარება სმსხვერპლის მიმართ შედეგის მომტანი აღმოჩნდა, ეს გამოკითხულთა 34,8%-ის შემთხვევაში მოხდა, 29,3% აღნიშნავს, რომ რეაგირება მოყვა მათ ქმედებას თუმცა, ისინი მეტ სიმკაცრეს და მეტად შედეგზე ორიენტირებულ ნაბიჯს მოითხოვდნენ, 6,7% აცხადებს, რომ რეაგირება იმაზე გადამეტებული იყო, ვიდრე ამას შემქნილი ვითარება მოითხოვდა, ხოლო რაც შეეხება დარჩენილ 29,2%-ს მათი თმით მათ ქმედებას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, ანუ შედეგი ვერ გამოიღო მათმა მცდელობასმ მსხვერპლის დასახმარებლად.

6. ძალადობის მსხვერპლი ქალები

ძალადობის შემთხვევები ქალების მიმართ კვლავ ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება, ამას მოწმობს ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც,

აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 37,5% ძალადობის სხვადასხვა ნიშნით მსხვერპლის პოზიციაში ყოფილა. ეს მაჩვენებელი იმას მიუთითებს რომ კვლრვაში მონაწილე ქალებიდან 5-დან 2, ერთხელ მაინც ყოფილა ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი.

აღნოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 10,2% სექსუალური ძალადობის ან სექსუალური შევიწროვების მსხვერპლი ერთხელ მაინც ყოფილა. რესპონდენტთაგან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი 18,1% მაინც ყოფილა. ეკონომიკური ძალადობის -6,6%, ყველაზე მეტი მაჩვენებელი ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში ფიქსირდება რესპონდენტთა 27,7% ერთხელ მაინც ყოფილა ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი.

შედეგების გასაანალიზებლად ვფიქრობ ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ ხშირად მსხვერპლი სერიოზულად არ აღიქვამს საკუთარ მდგომარეობას, არსებობს შემთხვევები, როდესაც ქალები ძალადობას ნორმალურ ქმედებად აღიარებენ, ასევე შესაძლოა ნებისმიერი ქალი ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ძალადობის მსხვერპლი ისე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამის მისახვერდად საკმაო დრო დასჭირდეს.

ძალადობის მსხვერპლი ქალები მოძალადისგან თავის დასაღწევად სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, თუმცა კვლევაში რესპონდენთა 11,9% ამბობს, რომ საკითხი არც გაუხმაურებია და არც არავისთვის მიუმართავს დასახმარებლად, არამედ მათ უბრალოდ ფაქტთან შეგუება ამჯობინეს. ქალების უმეტესობა ამბობს, რო მოძალადეს სიტყვიერად გაუსწორდენენ, კონფლიქტური სიტუაცია ამ გზით კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 17,9%-მა მოაგვარა, ან სცადა მოგვარება. 8,3% ამბობს, რომ მოძალადეს ფიზიკური ძალით გაუსწორდნენ, ხოლო 12,5%-მა ახლობლები ჩააყენა საქმის კურსში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაზარალებულთა მცირე ნაწილი თვლის საჭიროდ საქმეში ჩართოს სამართალდამცავი ორგანო, მსგავსი ფაქტი მხოლოდ მსხვერპლთა 3,6%-მა დააფიქსირა, ასევე 3.6% ამბობს რომ საქმეში ჩართო არასამთავრობო ორგანიზაცია.

აღმოჩნდა, რომ მათ შორის ვინც საკითხის მოსაგვარებლად მიმართეს პოლიციას, არასამთავრობო ორგანიზაციას, ახლობლებს ან საკუთარი ძალებით ცდილობდნენ მოძალადესთან გამკლავებას 65%-ის შემთხვევაში მათ ქმედებას შესაბამისირეაგირება მოჰყვა, რეაგირება მოჰყვა ხოლო 35%-ის შემთხვევაში კი ყველანაირი ქმედება უშედეგო აღმოჩნდა და მათი დახმარება ვერ/არ მოხერხდა.

კვლევის ამ ნაწილს შევუსაბამებ საქართველოს სტატისტიკური სამსახურის მიერ 2017 წელს ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის ქალთა მიერ მეუღლის/ პარტნიორის მხრიდან ძალადობასა და სექსუალურ ძალმომრეობაზე რეაგირება და დაძლევის სტრატეგიების ნაწილს, (საქსტატი , 2017) რადგან აღწერილია ძალადობის მსხვერპლი ქალების რეაგირების ფორმები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების 25%, ვინც დასახმარებლად არ მიმართავს არავის მიზეზად ასახელებენ, რომ არ სურდათ ოჯახი შეერცხვინათ, ხოლო 17% ამბობს, რომ ეშინოდათ ძალადობის უკიდურესი ფორმის ან მოძალადის მუქარის, ასევე გამოიკვეთა ძალადობის ჩვეულებრივ ფორმად აღქმა, მისი არასერიოზულად მიჩნევა გამოკითხულთა 7%-ის შემთხვევაში.

ქალებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ პარტნიორს, საკუთარი ძალებით ჰკითხეს, რა გავლენა მოახდინა შეწინააღმდეგებამ ძალადობაზე? გაცხადებული შედეგები სხვადასხვაგვარი იყო: 52%-მა განაცხადა, რომ ამას ძალადობა არ შეუცვლია; 17%-ის თქმით – ამან შეამცირა ძალადობა; 17%-მა აღნიშნა, რომ ძალადობა შეწყდა, ხოლო 13%-ის აღიარებით – იგი გაუარესდა.

ძალადობის მსხვერპლი ქალებიდან პოლიციას დასახმარებლად მხოლოდ 18%-მა მიმართა, ეს შედეგი გაუმჯობესებულია 2009 წელს ეროვნული კვლევის შედეგებთან შედარებით, 2009 წელს პოლიციის მიმართ ნდობა იმდენად ნაკლები იყო, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალებიდან დასახმარებლად პოლიციას მხოლოდ 2%-მა მიმართა, კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პოლიციის მიმართ ნდობა იზრდება, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიმართ.

7. ძალადობის და ფემიციდის შემთხვევების პრევენციის გზები

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საზოგადოების აზრი ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის გზების შესახებ, გამოკითხულთა 33,9 % ფიქრობს, რომ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი პრევენციისთვის ძალადობის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენით და შესაბამისი ზომების მიღებით უნდა გადაიდგას, არცერთი ძალადობის ფაქტი არ უნდა იქნას უგუვლებელყოფილი.

24,3% ამბობს, რომ ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა არ უნდა დააიგნორონ მოძალადის ქმედება და დასახმარებლად უნდა მიმართონ შესაბამის ორგანოებს.

გამოკითხულთა 24,3% ფიქრობს, რომ ფემიციდის პრევენციის მიზნით უმნიშვნელოვანესია მომავალ თაობას ვასწავლოთ საკითხის ძალადობის გარეშე მოგვარება.

,,მნიშვნელოვანია რომ მშობლებმა თითოეულ ბავშვის აღზრდის პროცესში ყორადღება გენდერულ თანასწორობაზე და ჰუმანურობაზე გააკეთონ“ (მდედრობითი სქესის; 18-25წალდე; დასაოჯახებელი)

კვლევაში მონაწილე 14,3% თვლის, რომ პრევენციის კუთხით ასევე მნიშვნელოვანია კანონმა და ძშესაბამისმა ორგანოებმა უზრუნველყოს ყოველი ძალადობის შემთხვევის აღმოფხვრა და მოძალადის შესაბამისად დასჯა.

კვლევაში მონაწილე რესპონდენთა 3,2% თვლის, რომ ფემიციდის რისკის შესამცირებლად სხვადასხვა ღონისძიებები უნდა გატარდეს.

,,პოტენციური მოძალადე პირები, რომლებიც თავს ამჟღავნებენ და ამართლებენ ფემიციდს, ასევე მოეთხოვოთ პასუხი როგორც წამქეზებლებს'' (მამრობითი სქესის; 26-31 წლამდე კატეგორიის; არაფორმალურ ურთიერთობაში მყოფი)

,,რეალურად, პრობლემა დარჩება პრობლემად, თუ ყველა პასუხისმგებელი მხარე არ ჩაერთვება. ქალები არ უნდა გაჩუმდნენ, ამასთანავე კანონმა უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა, ხოლო საზოგადოება აქტიურად ჩაერთოს და გააცნობიეროს ფემიციდის სიმძიმე''. (მდედრობითი; 18-25 წალმდე; დაოჯახებული)

,,კომპლექსური პრობლემაა, რომელიც უნდა გადაიჭრას კანონის სიმკაცრით, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებით, ქალთა გაძლიერებით ეკონომიკურად, მხარდამჭერი ორგანოების არსებობით ...'' (მდედრობითი სქესის; 18-25 წლამდე; დასაოჯახებელი).

კვლევის ამ ნაწილს მივუსადაგებ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ საქართველოში განხორციელებულ პრექტს, ,,ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება". მოხსენების ნაწილი ეკუთვნის ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ნაწილს, საუბარია გაეროს ქალთა ორგანიზაციის აქტიურ ჩართულობაზე ქალთა გაძლიერების და მათი დაცვის მიზნით.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია თანამშრომლობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდთან, ასევე, დიდი ბრიტანეთის მთავრობის თავდაცვის სამინისტროსთან, მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერებისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებაში მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიმართულებით. (გაეროს ქალთა ორგანიზაცია)

8. ფემიციდის შედეგები

კვლევის პროცესში ასევე დასმული იყო კითხვა, თუ ვინ ზარალდება ყველაზე მეტად ფემიციდის შემთხვევებით, პასუხები შემდგენაირად გადანაწილდა.

,,ფემიციდით ყველაზე მეტად ზარალდება თავად ფემიციდის მსხვერპლი '' - ამ მოსაზრებას კვლევაშ მონაწილე რესპონდენტთა 60,7% იზიარებს, გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ მსხვერპლისთვის რეალობის შეცვლა შეუძლებელია, მათ მოუწიათ ყველაზე სტრესულ გარემოებაში ცხოვრება და სწორედ მათ იწვნიეს ძალადობის გამოვლენის ეს უკიდურესი ფორმა.

,,ფემიციდით ზარალდება მთლიანად საზოგადოება''- ამ მოსაზრებას გამოკითხულთა 24,1% ეთანხმება, მათი აზრით ფემიციდის შემთხვევები მხოლოდ ერთი ადამიანის ტრაგედია არ არის და თითოეული მკვლელობის თუ თვითმკვლელობის საქმე, რომელიც ქალების მიმართ ძალადობითაა გამოწვეული, მთელი საზოგადოებისთვის სამწუხარო რეალობას წარმოადგენს.

,,ფემიციდის შემთხვევებით ყველაზე მეტად მსხვერპლის შვილები ზარალდებიან" - ამ მოსაზრებას გამოთქვამს რესპონდენტთა 11%, ისინი საკუთარ მოსაზრებას იმით განამტკიცებენ, რომ ხშირად მკვლელობები საკუთარი შვილების თვალწინ ხდება, რაც დმანგრეველია მათი ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის, გარდა ამ შემთხვევებისა მსხვერპლის შვილებისთვის ყოველთვის დიდ სტრესია ეს ფაქტი, რადგან ძალადობრივი გზით მათ დედა მოუკლეს და ფაქტობრივად ობლად დატოვეს. სწორედ ამიტომ შვილებზე მეტად ფემიციდის შემთხვევებით არავინ ზარალდება.

ასევე გამოკითხულდა 4,2% თვლის, რომ ფემიციდით მსხვერპლის მშობლებს ყველაზე დიდი ტკივილი ადგებათ, შესაბამისად ყველაზე მეტად დაზარალებულის პოზიციაში სწორედ ისინი არიან.

9. ფემიციდის გავლენა საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხზე.

ფემიციდს, როგორც დანაშაულს ბევრად დიდი და ფართომაშტაბური გავლენა შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად ფემიციდს შეუძლია საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხზეთ საკმაოდ ცუდი გავლენა იქონიოს, ამ აზრს კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 53,4% გამოთქვამს, ასევე 29,8%-ის აზრით ფემიციდი ცუდად მოქმდებს საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქავეყნის რეპუტაციაზე.

,, დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობს პატივისცემა და ურთიერთგაგება, რაც ფემიციდის შემთხვევაში შეუძლებელია რომ მოვიაზროთ. ფემიციდი, როგორც ადამიანის უფლებისა და თავისუფლების შელახვა, რასაკვირველია ცუდად აისახება დემოკრატიულობის ხარისხზე" (მდედრობითი სქესის; დასაოჯახებელი; 18-25 წლამდე).

,,დემოკრატია ნიშნავს თამასწორობას, შესაბამისად ფემიციდი უკვე უთანასწორობის საწინდარია '' (მდედრობითი სქესის; 32-39 წლამდე ასაკის კატეგორიის; დაოჯახებული)

,, თუ გვაქვს სურვილი გავხდეთ ევროპული კულტურის წევრი, უნდა შემცირდეს ფემიციდი, სხვა შემთხვევაში ვემსგავსებით ისეთი კულტურისა და მენტალიტეტის მქონე ქვეყანას, რომელოც ძალიან შორსაა იმ იდეოლოგიებისაგან და ღირებუმებებისგან, სადაც თავისუფლებაზეა საუბარი'' (მდედრობითი სქესის; 18-25 წლამდე; დასაოჯახებელი).

,,დემოკრატია გულისხმობს, რომ ყველას აქვს ხმის ამოღების და საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ფემიციდი კი გამოყოფს სპეციფიურ ჯგუფს, რომელსაც არამცთუ ხმის ამოღების საშუალება აქვს, არამედ ანადგურებენ სპეციფიური ნიშნის გამო'' (მდედრობითი სქესის; 32-39 წლამდე; დაოჯახებული).

,,დემოკრატიის ცნება ერთიანობასთან ერთად მოიაზრებს თავისუფლებასაც და ვფიქრობ შეუძლებელია ის ქვეყანა იყოს ერთიანი და თავისუფალი სადაც მამაკაცების მხრიდან ქალებზე ფემიციდი ასე ხშირად ხორციელდება" (მდედრობითი სქესის; 18-25 წლამდე; მარტოხელა).

,,ის ქვეყანა დემოკრატიული ვერასდროს გახდება, სადაც ქალებს კლავენ ეჭვიანობის ნიადგზე, შეცდომების გამო, ან თუნდაც უმიზეზოდ, ეს ფაქტი ქალებს სუსტად წარმოაჩენს და გენდერულ დისბალანსს ქმნის" (მდედრობითი სქესის; 18-25 წლამდე; დაოჯახებული).

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომგამოკითხულთა 9,4% თვლის, ფემიცისი არც თუ ისე ცუდ გავლენას ახდენს დემოკრატიის ხარისხზე, 4,2% კი თვლის, რომ ზოგადად ფემიციდის შემთხვევები საერთოდ არ ახდენს გავლენას დემოკრატიის ხარისხზე.

,,ზოგადად ფემიციდი ერთეული დანაშაულია, რომელიც გავლენას ვერ მოახდენს ისეთ გლობალურ საკითხზე, როგორიცაა ქვეყნის დემოკრატია" ((მდედრობითი სქესის; 40-47წლამდე; დაოჯახებული).

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა, რა წარმოდგენა აქვს საზოგადოებას ფემიციდთან დაკავშირებით, ასევე მათი დამოკიდებულების გამოკვლევა ფემიციდის პრევენციის კუთხით, საკვლევი ობიექტი იყოს ნებისმიერი საქართველოს მოქალაქე, რომელიც სრულწლოვნების ასაკს იყო მიღწეული, კვლევა ჩატარდა კვლევის შერეული მეთოდით, სულ გამოიკითხა 200 რესპონდენტი.

საზოგადოების ნაწილი ფემიციდს აღიქვამს, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმა, ნაწილი კი ფემიციდნს განმარტავს, როგორც ქალთა მკვლელობას, რომელიც უმეტეს წილად ეჭვიანობის ნიადაგზე ყოფილი პარტნიორების მიერ ხორციელდება.

ფემიციდის რისკის ქვეშ პოტენციურად ყველა ქალი მოიაზრება, თუმცა განსაკუთრებით ის ქალები ვინც განქორწინებულები არიან ან კონფლიქტურ ქორწინებაში იმყოფებიან.

ფემიციდი წარმოადგენს რისკს, რომელიც შიშს იწვევს თრგუნავს ქალებს, რაც გარკვეულწილად მათ თავისუფალ არჩევანზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, რადგან საფრთხე არსებობს, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოიწვევს პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის ან მთლიანი საზოგადოების აგრესიას, რადგან ქალს ,,ბევრი რამ არ ეპატიება", ბევრი რამ რაც კაცისთვის სრულიად ბუნებრივია, ქალისათვის ყოვლად დაუშვებელია, თუნდაც ქორწინებამდე სექსი. სწორედ ამიტომ ქალებს მოქმედების არეალს საზოგადოების მიერ შექმნილი ჩარჩოები უზღუდავს, აგრესია იმდენად ძლიერი შეიძლება იყოს, რომ ფატალური შედეგითაც დასრულდეს.

კვლევაზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ისევ აქტუალური პრობლემაა საქართველოში, რადგან კვლავ ხშირია ქალებზე ძალადობა სხვადასხვა ფორმით.

ფემიციდის რისკის შესამცირებლად უმნიშვნელოვანესი ქმედითი ნაბიჯი საზოგადოების მიერ უნდა იქნას გადადგმული, არც ერთი ძალადობის შემთხვევა არ უნდა უგულვებელვყოთ, არამედ შესაბამისი ორგანოები უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში, სოწრედ ეს გარემოება დათრგუნავს მოძალადეებს.

ფემიციდით ყველაზე მეტად ზარალადება თავად მსხვერპლი, მაგრამ მსხვერპლის უკან დგას მისი შვილები და მშობლები, რომლებსაც არანაკლებ ფსიქოლოგიური ზიანი ადგებათ, ამ ფაქტით, არამარტო ოჯახს არამედ მთელი ქვეყნისთვის

ფემიციდის თუ ძალადობით გამოწვეული სუიციდის შემთხვევა უარყოფითად აისახება ჩვენივე ცხოვრების ხარისხზე.

ფემიციდის ყოველი შემთხვევა ხაზს უსვამს, იმას თუ როგორი დაუცველები არიან ქალები, როგორ სუსტად და არარაობად მიიჩნევენ მათ, ეს ყველაფერი რათქმაუნდა არღვევს ქალთა უფლებებს და წარმოშობს გენდერულ დისბალანსს, რაც ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხზე ძალიან ცუდ გავლენას ახდენს. ქვეყანა, რომელიც დემოკრატიულად არის აღარებული, თანასწორობის პრონციპი ყველა კრიტერიუმით უნდა იყოს დაცული.

გამოყენებული ლიტერატურა

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი . (2010). *კულტურა .* Retrieved from civil ენციკლოპედიური ლექსიკონი : http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3701

myadvokat.ge. (2022). *21-ე საუკუნის სენი- ფემიციდი.* თბილისი: მარიამ წიკლაური .

Organization, W. H., & Women., U. a. (2022, 11 25). *ვიკიპედია.* Retrieved from ფემიციდი: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98

patriarqati matriarqati. (2012, აპრილი). *patriarqati matriarqati.* Retrieved from რა არის პატრიარქატი : http://patriarqatimatriarqati.blogspot.com/p/blog-page_3179.html

UN WOMEN. (n.d.). *გაეროს ქალთა ორგანიზაციის შესახებ საქართველოში.*

UN WOMEN. (n.d.). *ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა .* საქართველო : გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

ბრანდერი, პ. (2004). *civil ენციკლოპედიური ლექსიკონი.* თბილისი : გიორგი კენჭოშვილი .

გაეროს ქალთა ორგანიზაცია . (n.d.). *ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.* საქართველო.

კავშირი ,,საფარი". (2016). *ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება.* თბილისი .

კავშირი საფარი . (2016). *ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება.* თბილისი .

მაუწყებლობა. (2022). *მკვლელობა სამი მცირეწლოვანი შვილის თვალწინ.* თბილისი.

სამსახური, ს. ს. (2017). *ქალი და კაცი საქართველოში.* თბილისი.

საფარი . (2016). *ფემიციდი – დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება.* თბილისი.

საქართველოს პარლამენტი . (2010). *გენდერული თანასწორობის შესახებ.* თბილისი.

საქართველოს პარლამენტი. (2006). *ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.* თბილისი.

საქართველოს პარლამენტი. (2010, აპრილი 12). *საქართველოს კანონი გენდერული გენდერული თანასწორობის შესახებ.* Retrieved from საქართველოს საკანონდებლო მაცნე : https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10

საქართველოს პროკურატურა . (2022). *ქალთა მკვლელობა.*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში . (2015). *ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა.* თბილისი .

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური . (2019). *ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში.* საქართველო .

საქარრთველოს პარლამენტი . (2014, 05 7). *დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ .* Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10

საქსტატი . (2017). *ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში .*

სორენსენი, შ. კ. (2006). *ფემინიზმის სამი ტალღა: სუფრაჟისტებიდან მეამბოხე გოგონებამდე.* თამრი სხულუხია.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი . (2016). *თანასწორობა.* Retrieved from ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში : http://dictionary.css.ge/content/equality

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი . (2016). *ფემიციდი.* Retrieved from ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98

შატბერაშვილი, ნ. (თ. გ.). *სოციალური მუშაობა და კვლევა.*